№ 219
სამშაბათი, 13 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 219
სამშაბათი, 13 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართული გალობის სამუდამო გუნდი

სასულიერო მთავრობის განკარგულებით ტფილისის ანჩისხატის ტაძართან არსდება ქართულ მგალობელთა სამუდამო გუნდი. აზრი ამ გუნდის დაარსებისა არის—დაცვა ძველის ქართულის სასულიერო კილოებისა და მათი გავრცელება საქართველოში. ამა მგალობელთა გუნდის შედგენა მე მაქვს მონდობილი და ამიტომ მოვიწვევ ქართულის გალობის შესწავლის მსურველთა გამოცხადდნენ ჩემთან ანჩისხატის ტაძრის ეზოში პირობების შესატყობად და საქმის განსახორციელებლად. ეკკლესიაში გალობის დაწყებისათანავე გუნდს დაენიშნება ყოველთვიური გარდაკვეთილი ჯამაგირი.

ანჩისხატის სობოროს მღვდელი პოლიევქტო კარბელაშვილი
(4—უ—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(—ნ.—12)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ქალაქ ტფილისის პირველ საბოქაულო ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავადი წულუკიძე—ბორჩალოს მაზრის ბორჩალოს საბოქაულო ნაწილის ბოქაულად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით, ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიის მოხელე ბესარიონ გრიგორაშვილი.

◆

ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 10 ოქტომბერს, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე დაბრუნდა ყარაიაზიდგან, სადაც მათი უმაღლესობა სანადიროდ ბძანდებოდა. რკინის გზის სადგურზედ იმის იმპერატორობით უმაღლესობას დაჰხვდნენ: გენერალ-მაიორი ბარანოვი, ტფილისის კამენდანტი გენერალ-მაიორი რეიტერი, პოლიცმეისტერი მასტიცკი და სხვანი. საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც ბრძანდებოდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე უავგუსტოესს შვილებს დიდის მთავრების გიორგი მიხეილის ძის და სერგეი მიხეილის ძისა და კავკასიის მთავარ-მართებლითურთ საღამოს 11 საათზედ მოვიდა. დიდმა მთავარმა რკინის გზის ტფილისის სადგურზედ 15 წუთი დაჰყო, შემდეგ გამოემშვიდობა მთავარ-მართებელს და სხვათა და ბორჯომში წაბრძანდა უავგუსტოეს შვილებითურთ.

⁂ მათმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ 500 მანეთი შესწირა იმ ღარიბებს, რომელთაც შემწეობა სთხოვეს. ამ ფულს მთხოვნელთა შორის ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაცია გაანაწილებს.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა კვირას, 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, კავკასიის ბაღოსნობის გამოფენა დაათვალიერა და კავკასიის ბაღოსანთა კრების წევრნი მიიწვია სასახლის ბაღის დასათვალიერებლად. სასახლის ბაღს დღეს დილის 9 საათზედ დაათვალიერებენ.

⁂ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე გუშინ, 12 ოქტომბერს, ტფილისს დაბრუნდა ბაქოდგან.

⁂ კავკასიის ბაღოსანთა პირველ კრების თავმჯდომარეს უთხოვნია კავკასიის მთავარ-მართებელ თავ. გოლიცინისათვის—ნება დაგვრთეთ კრება 20 ოქტომბრიდგან პირველ ნოემბრამდე განვაგრძოთო. კრება აპირობს წასვლას, სხვათა შორის, განჯას, ქუთაისს და სოხუმში.

⁂ მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა იმ კომიტეტის წევრები, რომელსაც ქ. ახალციხეში მართლ-მადიდებელთა ტაძრის აგების საქმე აქვს მინდობილი. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ახალციხის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ა.პ.პავლოვი, წევრებათ:მომრიგებელი მოსამართლე მ. პავლოვი, პოდპოლკოვნიკი ა. პუშკინი, მომრიგებელი შუამავალი ვ.თულაშვილი,სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელე მაჩაბელი. ახალციხის ტაძრის წინამძღვარი და მნათე. ხოლო მათ კანდიდატებად: მაზრის ხაზინადარი ი. სოსნოვსკი, სასამართლოს ბოქაული ნადირაძე და გზათა უწყების მოხელე ვ. მიტკევიჩი.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობას ამ დღეებში გაუგზავნია პეტერბურგს გზათა მინისტრისათვის დასამტკიცებლად ყარსის რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას—მიჩვენეთ ის წყარო, საიდგანაც დავხარჯო 1200 მანეთი კუკიის მეორე უსასყიდლო სამკურნალოს გასამართად და ყოველ წელს ამ ახალის სამკურნალოსათვის 3000 მან. დასახარჯად.

⁂ რადგანაც ქალაქის მთავარ საავადმყოფოს სადგომი ძლიერ ვიწროა და ავადმყოფები შეწუხებულები არიან ამ სივიწროობისა გამო, ამიტომ სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის მოურავს, სთხოვეთ საბჭოს, რომ ნება დაგვრთოს სხვა სახლი დავიქიროთ სამკურნალოსთვის და წელიწადში ამ სახლის ქირად 3000 მან. გავიღოთო.

⁂ გუშინ, 12 ოქტომბერს, $2^1/_2$ საათზედ, გზათა მმართველობის შენობაში შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა. მაჰმადიანმა ყასუმ-მამედ-ოღლიმ ბენზინი გადისხა და ცეცხლი წაიკიდა. ტანთ საცმელი სულ ერთიანად ზედ შემოეწვა. სახე და მთელი ტანი დაეწვა და დაუბებრდა. ამ დროს გზათა მმართველობის მოხელენი შინ აპირებდნენ წასვლას. ცეცხლ-წაკიდებული თათარი მმართველობის დერეფანში დარბოდა და ყველას შიშის ზარი დასცა. ბოლოს პოლიცია მოიწვიეს, რომელმაც თათარი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნა.

ამბობენ, ვითომ თვით თათარს უთქვამს, რომ ვიღაც ინჟენერთან ვმუშაობდი და თორმეტი თუმანი სამუშაო მერგებოდა და აღარ მომცაო. ბევრჯერ ვითხოვე და რაკი ვერას გავხდი, განვიძრახე ინჟენერს ცეცხლი წავუკიდო, მაგრამ რადგანაც იმ დღეს ინჟენერი სამსახურში არ მოსულა, გაჯავრებულმა ავიღე ბენზინი გადავისხი და ცეცხლი წავიკიდეო. თუმცა ეს ნაამბობი თათრისა ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ჰორად, თუ მართლად ეს ხმა გამოვიდა.

⁂ როგორც უკვე ვწერდით, გამომძიებელმა გამოიძია დავით გაბაშვილის მოკვლის საქმე და ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს გარდასცა იგი. ოთხ ბრალდებულთა შორის გაბაშვილის მოკვლის ბრალი ედებათ გიორგი ოსიტაშვილსა და ვლადიმერ ბარათაშვილსა, ხოლო თავად ტუსიშვილსა და ტერ-შმოვანოს ის ბრალი ედებათ, რომ დახმარება გაუწიეს პირველთაო.

ფელეტონი

რა ეკონომიურს მდგომარეობაში ვართ?

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა“, ფ. მახარაძისა. „კვალი“: 1, 2 და 4 №№ 1898 წ.

(დასასრული *)

ამგვარად, ჩვენს წარმოების ხასიათს შეადგენს დღეს ხელით მუშაობა, სახელოსნო წარმოება (ремесленное производство) და არა სამანქანო, რომელიც ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოებას. სამანქანო წარმოებისას ვხედავთ ჯერ ჩვენში მხოლოდ ნასახს. რამდენიმე ფაბრიკა სამრეწველო კაპიტალის ხანას ვერ შეჰქმნის, კაპიტალს ვერ გაამეფებს, კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ვერ დაამყარებს რომელსამე ქვეყანაში.

რუსეთელი და ჩვენი მარქსისტები, როდესაც კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებას შეეხებიან რუსეთსა და ჩვენს ქვეყანაში, ვგონებ, განგებ ივიწყებენ ყველაფერს, რაც ხელს უშლის კაპიტალიზმის განვითარებას. მაგალითად, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ კაპიტალიზმს აფერხებს, როცა ქვეყანა არ არის მჭიდროდ დასახლებული, რადგან მაშინ ქალაქები ძლიერ დაშორებულია ერთმანეთზედ, ქალაქების რიცხვი მიწის სივრცესთან შედარებით ცოტაა, შრომის განაწილება სოფელსა და ქალაქს შუა მცირეა. მარტო რკინის გზის გაბმა ქალაქსა და ქალაქს შუა არა კმარა, თუმცა, ცხადია, რკინის გზა ერთი უძლიერესი საშუალებათაგანია კაპიტალიზმის განვითარებისა. რუსეთი ვერ არის მჭიდროდ დასახლებული თავისის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თვისებათა გამო სოფლები უმეტეს ნაწილად მდინარეების პირად მდებარეობს და დანარჩენი ადგილები უწყლოობის გამო თითქმის დაუსახლებელია. რასაკვირველია, ყველგან ასე არ არის, მაგრამ ამ გარემოებას ერთი უპირველესი, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კაპიტალიზმის შემაფერხებელ მიზეზთა შორის.

მეორე ამგვარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მუშის ქირის სიმცირე. რაკი მუშას იაფად იშოვის, კაპიტალისტი იძულებული არ არის მუშა მანქანაზედ გასცვალოს, მუშა მოიშოროს და მანქანა შეიძინოს, რადგან მანქანა უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე მუშა. მუშის მოთხოვნილების სიმცირე არის შედეგი ხანგრძლივ ისტორიულ პირობათა. „Новое Слово“-ს ერთს №-ში ბ-ნ ტუგან ბარანოვსკის მოჰყავს, მართალია, ამის წინააღმდეგი მაგალითები, მაგალითად, რომ უბრალო სახელოსნოების ადგილს რუსეთში თან-და-თან სამანქანო წარმოება იჭერსო, მაგრამ სამანქანო წარმოებაც არის და სამანქანოც. მანქანაც არის და მანქანაც. ერთის მილიონის ღირებულობის მანქანა და ათასის მანეთის ღირებულობისა ერთი არ არის. ის ფაბრიკები, რომელთაც დაიჭირეს სახელოსნოების ადგილი, ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის სიტყვითვე, დიდს არაფერს წარმოადგენენ და უფრო ფაბრიკუნები არიან, ვიდრე ფაბრიკები. მე იმას კი არ ვამბობ, რომ არავითარის მანქანის შემოღება არ იყოს შესაძლებელი რუსეთში, არამედ იმას, რომ სამანქანო წარმოების განვითარებას აბრკოლებს მუშის სიიაფე, მანქანასა და მუშას შორის ბრძოლაა, ერთი საზღვრავს მეორეს, მუშა ნებას არ აძლევს მანქანას, რომ ამ უკანასკნელმა ის ადგილი დაიჭიროს, რაც ევროპაში უჭირავს. მესამე შემაფერხებელი მიზეზი უნდა ეჭიროს ჩვენს უმეცრებას. მართალია, უცხო ქვეყნის კაპიტალები რუსეთშიაც გადმოდიან და გადმოჰყავთ აქ თავისი ტეხნიკოსები, მაგრამ ორიოდე მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. კაპიტალიზმი რუსეთში მხოლოდ მაშინ განვითარდება, როდესაც თვით რუსეთის საზოგადოებაში იქმნება საკმაო რიცხვი მეცნიერულად მომზადებული ტეხნიკოსებისა. ამას-კი დასჭირდება ძირიანად შეცვლა მთელის სისტემისა. სხვა მიზეზებიც არის კიდევ, რომელთაც ამ წერილში ვერ შევეხებით.

რუსეთის მარქსისტები ივიწყებენ ყველა ამას და ამტკიცებენ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის საქმე ძლიერ კარგად მიდისო. მაგალითად, ბ-ნი ბელტოვი ამ აზრს იმ გარემოებაზედ აფუძნებს, რომ ყოველ ას მანეთს რუსეთში მეტი მოგება აქვს, ვიდრე ევროპაშიო. მაგრამ ჩვენ ეს გარემოება, პირიქით, კაპიტალიზმის განუვითარებლობის დამამტკიცებლად მიგვაჩნია. რაც უფრო განვითარებულია კაპიტალიზმი, მით უფრო დიდი ალაგი უჭირავს მანქანას მუშასთან შედარებით; კაპიტალი, რომელიც შეიცავს წარსულს შრომას, დიდია და მუშათა რიცხვი, რომელიც ამოძრავებს ამ კაპიტალს, შედარებით, მცირეა. მკითხველს ვთხოვ მიაქციოს ყურადღება იმ გარემოებას, რომ, მუშათა რიცხვი თუ შედარებით კა-

---

*) იხ. „ივერია“, № 215

⁂ 9 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით სესსია განიხილავს ქ. ახალციხეში ახალციხის მემამულის ივანე მეფისაშვილის მკვლელობის საქმეს. ამ საქმის გამო სამართალში მიცემულია 7 კაცი: ახალციხისავე მემამულე სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი მიხეილ მეფისაშვილი, 64 წლის კაცი, მოკლულის ძმა, და ექვსიც გლეხი. დაბარებულია, ამ საქმის გამო 100 მოწმე. ბრალდებულთ იცავენ: მეფისაშვილს—ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი, ხოლო დანარჩენთ—კერძო ვექილი დოლგოლენკო.

⁂ ტფილისის უსინათლოთა სკოლაში გამართეს ჩოთქებისა და კალათების საწნელი სახელოსნო, სადაც უკვე ჰმუშაობს ოთხი კაცი, ამავე სკოლაში სწავლა-დამთავრებული. ამათგან ორი ქალია და ორი ვაჟი. ოსტატი, რომელიც სასწავლებელმა პეტერბურგში გაგზავნა ჩოთქებისა და კალათების საწნელი ხელობის შესასწავლად, უკვე დაბრუნდა ტფილისში. ამ დღეებში ხაშურში მიდის ზედამხედველი ამ სკოლისა, რათა გაიცნოს ხალიჩების ქსოვის ხელობა. სკოლის სახელოსნოში ამ ხელობასაც ასწავლიან.

⁂ როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ამ სამის წლის წინად გაზეთ „ივერია"-ში იბეჭდებოდა წერილები ბ-ნის ზ. ჭიჭინაძისა აჭარისა და ართვინის ოლქის გამაჰმადიანების შესახებ. რადგან ამ საგნის შესახებ სხვა მასალები თითქმის არ მოიპოვება, ხოლო თვით ეს მასალებიც ბ-ნის ზ. ჭიჭინაძისა მკითხველების უმრავლესობისათვის ხელმიუწვდენელია, ამიტომ მისს ყოვლად უსამღვდელოესობას, ალავერდის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო კირიონს განუზრახავს ეს წერილები ერთ წიგნად დაასტამბვინოს თავისის საფასით. წიგნის ფასი სულ მცირედი იქმნება, რათა ყველას შეეძლოს მისი შეძენა.

⁂ სტუდენტს ჯავახიშვილს ქართულის ენიდგან რუსულს ენაზედ გადაუთარგმნია და სამეცნიერო აკადემიას ცალკე წიგნად დაუბეჭდია „სიბრძნე ბალავერისა".

⁂ პროფესორს ნიკოლოოზ მარს პეტერბურგში დაუბეჭდია ორი წიგნი: ერთი, „სიბრძნე ბალავერის" გარჩევა და ქართული ენის დამოკიდებულება აზიურს ენებთან. მეორე, ქართულ და სომხურ ენების ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ.

⁂ ამას წინად „ივერიაში" კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი დერჩიდგან ელიზბარ წერეთლის მიერ სამსონ ასათიანის დაჭრის შესახებ. კორესპონდენტი გვწერდა, რომ პოლიციამ შეიპყრო ელიზბარ წერეთელიო. ეხლა გვწერენ, რომ პოლიციას არამც თუ წერეთელი არ შეუპყრია, არამედ ჯერ ოქმიც არ შეუდგენიაო. რაც შეეხება დაჭრილს ასათიანს, იმის გადარჩენა ძალიან საეჭვოა თურმე.

⁂ რუსულის გაზეთების სიტყვით, კანდიდატად ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგის თანამდებობაზედ ბ-ნ შალაბანოვს ასახელებენ. ამ ჟამად შალაბანოვი ახაბადის საბაღოსნო სკოლის გამგედ არის.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ."-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს მთელი კავკასია რამდენსამე ნაწილად დაჰყოს და ამ ნაწილების გამგეობა იმ აგრონომებს მიანდოს, რომელნიც მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულთან არიან. აგრეთვე აზრადა აქვთ დააარსონ რამდენიმე ახალი გამოსაცდელი სადგური.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით კახეთის საუფლისწულო მამულების გამგემ პარიჟის სააგრონომო ინსტიტუტის პროფესსორის პრიულლესაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ეს უკანასკნელი ატყობინებს, რომ იმ ვაზებს, რომელიც მე კახეთიდგან გამომიგზავნეს, რომელთაც ვითომ ბლეკროტი უნდა ჰქონოდათ, არავითარი ნიშანი ამ სენისა არ აღმოაჩნდათ. საზოგადოდ დღემდის კახეთის ვენახებში ბლეკროტის არსებობა ვერ გამოირკვა. ზოგი ამბობს, რომ ამ სენით კახეთის ვენახები მოდებულიაო, ზოგი კიდევ სულ წინააღმდეგს გაიძახის. საყურადღებო ის არის, რომ საუფლისწულო ის ვითომდა ბლეკროტიანი ვენახი, რომლის ერთი დესეტინა წინად 800—900 ვედრა ღვინოს იძლეოდა, დღეს 1480 ვედრას იძლევა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ."-ას სწერენ, რომ ბორჩალოს მაზრის უფროსი არნოლდი ამ თანამდებობას თავს ანებებსო.

⁂ იმავე გაზეთს ატყობინებენ სოხუმის ოლქიდგან, რომ ამ ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ბრაკკერი თავს ანებებს თანამდებობასაო. კანდიდატად ამ ოლქის უფროსის თანამდებობაზედ ასახელებენ ამავე ოლქის უფროსის თანაშემწეს დე-სიმონს. თავს ანებებს აგრეთვე თანამდებობას ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწე გაბუნია, რომლის ადგილზედაც გუდაუთის ნაწილის უფროსი ჩიქოვანი გადაჰყავთ, ხოლო გუდაუთის ნაწილის უფროსად ინიშნება ელიავაო.

⁂ სოფ. ნაფარეული, (თელავის მაზრა). ნაფარეულის სოფლის საზოგადოებას შეადგენს სამი სოფელი—თითონ ნაფარეული, სანიორე და ართანა. ამ სამს სოფელს ერთი პირველ-დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი აქვს ნაფარეულში. რაღა თქმა უნდა, სასწავლებლის შესანახად ფულს სამივე სოფელი იხდის, მაგრამ მარტო ნაფარეული-კი ჰსარგებლობს. საქმე ის არის, რომ ართანა სამის ვერსის მანძილზედ არის დაშორებული ნაფარეულზედ და სანიორე ერთის ვერსის. ამ მანძილის გავლა, მეტადრე ზამთარში, ადვილი არ არის მცირე წლოვან ბავშვებისათვის. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ნაფარეულსა და ართანა-სანიორეს შუა ჩამოდის მდინარე ლოპოტა. ამ მდინარემ მარტიდგან ივნისის შუამდე და სექტემბრიდგან ოქტომბრის გასვლამდე ისეთი ადიდება იცის, რომ შიგ გასვლა, ბავშვებს-კი არა, ვაჟკაცებსაც არ შეუძლიანთ. ბევრი კაცი გადურჩენიათ ამ მდინარისაგან დახრჩობას. ამ მიზეზის გამო, კიდევ ვიტყვი, ნაფარეულის სასწავლებლისათვის ტყუილ-უბრალოდ იხდის ართანა-სანიორე ფულს; ამ სოფლებიდგან ერთს ბავშვსაც კი შეძლება არ აქვს იქ სიარულისა.

⁂ სოფ. სვირი, (ქუთაისის მაზრა). ჩვენის სოფლიდგან ბაღდადისაკენ მიმავალ გზის კეთება დავიწყეთ. თითო კომლს სამ-სამი საჟენი შეჰხვდა გასაკეთებლად. დიდი იმედი გვქონდა, რომ ეს გზა დროზედ გაკეთდება და თავისუფლად შეგვეძლება მიმოსვლაო. მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა, რადგან, მართალია ზოგმა კარგად გააკეთა თავისი ხვედრი გზა, მაგრამ ზოგის ნაკეთები გამოუსადეგარია და ისევ ტალახში უნდა გვარჩოს. სვირში აყალო მიწაა და მცირე წვიმის შემდეგ ისეთი წებოსავით ტალახი დადგება ხოლმე, რომ კაცი ფეხს ვერ ამოიღებს იქიდგან. ამიტომ საჭიროა, რომ გზას აქ ბლომად დააყარონ ქვა, თორემ უამისოდ ეს გზა თავისს დანიშნულებას ნაკლებად შეასრულებს.

⁂ 10 ოქტომბერს დაბახანის ხევში იპოვნეს მოკლულის კაცის გვამი. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ჯერ არ იციან მოკლულის ვინაობა.

⁂ როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, სექტემბრის განმავლობაში საყასბოზედ დაუკლავთ 2930 ცალი მსხვილფეხა საქონელი, 8753—წვრილ-ფეხა, 177—ღორი.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ფელეტონს „წკიპურტში" მეორე გვერდის მეხუთე სვეტში შეცდომით არის დაბეჭდილი: „ჭამითა და ძალით მოპოვებული ძალ-ღონე", უნდა იყოს: „ჭამითა და ძილით მოპოვებული ძალ-ღონე".

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. ძველი სენაკი, 11 ოქტომბერი. ოდესღაც რომ ძველი ჩვენი სენაკი! ამ უზარმაზარ, ჟამთა მსვლელობისაგან თავ-მოჭმულ ჭანდრისგან დაწყებული, რომელიც მაინც ამაყად სდგას „ბულვარზედ" და გამვლელ-გამომვლელს „ნადაბარის" წარსულს ძველ დიდებას უუბნება,—ორპირად ჩამწკრივებულ მიგრეხილ-მოგრეხილ და ხავსმოკიდებულ ფიცრულ დუქნებამდის ყველა ამისი მოწმეა, რომ ერთხელ აქაც პატარა „სიცოცხლე სდუღდა". მერე ვისი ბრალია ძველის სენაკის ასე დაქვეითება? ვისი და ისევ სენაკისა, მაგრამ ძველისა-კი არა, ახლისა, რომელიც ბუნებისაგან მეტად არაფრით არის დაჯილდოვებული, მაგრამ რადგანაც რკინის გზის ლიანდაგს აკრუზა, ისე გაიბერა, გაიზარდა, გაამაყდა, რომ უფროსობის პატივისცემაც-კი დაჰკარგა. ახალგაზდამ ბებერი დაიბრიყვა და ყველა დაწესებულებანი თავისკენ მიიზიდა. შესაძლებელი რომ იყოს, მე მგონია ამ ბებერ ჭანდარსაც წაიღებდა და იქ სადგურის მახლობლად სადმე დარგამდა, რომ მგზავრების ყურადღება მიექცია. ერთი სააზნაურო სკოლა შერჩა ძველ-სენაკს და იმის გადატანასაც აპირებდა... ერთის სიტყვით სულ „მე და მეო"!.. გაიძახის ახალ-სენაკი ახალგაზდურის წკრიალა ხმით.

მაგრამ ძველი-სენაკი მაინც თავისას არ იშლის და გულ-მოსული თავისთვით ბუტბუტებს: „ბებრის ხარისა რქანიც-კი ეწევაო". ეს არამც თუ სკოლას არავის უთმობს, პირიქით თვითონ აპირებს სკოლები შეიძინოს. აი, ეხლაც ლაპარაკია დედათა სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ; თუმცა ცოტაოდენი ქალები სწავლობენ სოფლისა და სააზნაურო სკოლაში, მაგრამ ამას არ კმაყოფილდებიან.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ! რაც მეტი სკოლა იქნება, საქალებო თუ საკაცებო, მით უკეთესი! იმედი გვაქვს, ჩვენი მ. დეკანოზი გულ-მოდგინედ მოეკიდება ამ საქმეს და ჩვენ დაქვეითებულსა და დამველებულს სენაკს ერთს სკოლას კიდევ შემატებს სოფლისა და ქვეყნის გასაგონიერებლად და გასადონიერებლად...

ორი და სამი კი არა, თხუთმეტი სკოლაც რო ჰქონდეს ძველ-სენაკს, უახალ-სენაკოდ ვერ გამოდგება, რადგანაც იქა სწავლის და ჭკვის ქვეყნის გამაფხიზლებელი—მატარებელი. ამიტომ უნდა იზრუნოს ძველმა-სენაკმა, რომელიც სულ რამდენისამე ვერსით არის დაშორებული ახალს, რომ მიმოსვლა გაადვილებული იყოს. ახალ-სენაკიდგან ძველ-სენაკამდის გზა კარგია, დანჯღრეული ფაიტონებიც ბლომად მოგვეგებება, რომელსაც თითო სული სენაკამდის ხუთ შაურათ მიჰყავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ფაიტონში შესაბმელი ცხენები ისეთი დამხდრები, ძვალ-ტყავად ნაქცევია, რომ კაცი იმათის ცოდვით ძლივს ჯდება ფაიტონში. სასურველია ყურადღება მიაქციოს ვინმემ ამ ბედკრულ პირუტყვებს და მოსთხოვოს პატრონებს, რომ წესიერი პატრონობა გაუწიონ ცხენებს და მით მგზავრებსაც აშორონ ის უსიამოვნება,

---

პიტალთან მცირეა დიდს ფაბრიკაში, ეს არ მოასწავებს იმას, რომ მუშათა რიცხვი დიდს ფაბრიკაში უფრო მცირე იყოს, ვიდრე პატარა ფაბრიკაში. კაპიტალის განვითარების დროს, პირიქით, კაპიტალიც იზრდება და მუშათა რაოდენობაც, მაგრამ კაპიტალი უფრო იზრდება, ვიდრე მუშათა რაოდენობა, პირველი უსწრებს მეორეს. წმინდა მოგება კაპიტალისტისა კი იმისაგანაა დამოკიდებული, თუ რამდენი მუშა ჰყავს, რადგან მხოლოდ მუშისაგან ტყუილად ანაღები შრომა შეადგენს წმინდა მოგებას. ამ გვარად, თუმცა კაპიტალის თანდათან გადიდებას თან მოსდევს წმინდა მოგების თანდათან გადიდება, მაგრამ კაპიტალი უფრო დიდდება, ვიდრე წმინდა მოგება. მაშასადამე, თუმცა დიდ კაპიტალისტს წმინდა მოგება მეტი აქვს, ვიდრე ჰქონდა, როცა ჯერ წვრილი იყო, მაგრამ კაპიტალი კიდევ მეტი აქვს. და ამიტომ ყოველ იმის ასს მანეთზედ ეხლა ნაკლები მოგება მოდის, ვიდრე მოდიოდა უწინ. იგივე იქნება, ორის ქვეყნის კაპიტალისტები რომ შევადაროთ ერთმანეთს. ხსენებულ მიზეზთა გამო განუვითარებელს ქვეყანაში ყოველ ასს მანეთზედ უფრო მცირე მოგება უწევს, ვიდრე განვითარებულში. ბ-ნი ბელტოვი-კი სხვა-ნაირად ჰფიქრობს. სჩანს ამ შემთხვევაში მარქსის მოძღვრება აღარ გახსენებია.

ბ-ნი ბელტოვი ამბობს, რომ რუსეთში კაპიტალიზმი აუცილებლად უნდა განვითარდეს, რადგან იგი იძულებულია გარეშე გარემოებათაგან განვითარდესო. წვრილი კაპიტალისტი რომ არ გაკოტრდეს, იძულებულია გამსხვილდეს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ იგი უთუოდ გამსხვილდება.

ჩვენებური მარქსისტებიც ასე იქცევიან. რუსეთის კაპიტალიზმს თუ კიდევ უცხო ქვეყნების წინააღმდეგ აღმართული მფარველობითი ლობე იფარავს, ჩვენსას არაფერი არ იფარავს, ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად ნავარდობს რუსეთის საფაბრიკო ნაწარმოები. ეს ვერაფერს გვიზამდა, რომ ამას კიდევ ჩვენი უმეცრება არ ემატებოდეს. ამ ორ მიზეზის გამო ჩვენში სამრეწველო კაპიტალი კუს ნაბიჯით მიფოფხავს. არცერთს ამ მოვლენას არ იხსენიებენ ჩვენი მარქსისტები. სამაგიეროდ, ის-კი არ ავიწყდებათ, რაც, ცხადია, ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას. მაგალითად, ბ-ნ ნ. ჟორდანია ამბობს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში გასაოცარის სისწრაფით ხდება ევროპის ზედ გავლენითაო. ის, რასაც ევროპაში მთელი საუკუნეები დასჭირდა, ჩვენში თვალის-დახამხამებაზედ შემოვიდაო. ამ უკანასკნელს აზრს აქვს სიმართლე ნახევრად. მართალია, რკინის გზის გაყვანა, რომლამდისაც განათლებულმა კაცობრიობამ მთელის საუკუნეების ხანგრძლივი შრომის მეოხებით მიაღწია, ძლიერ ადვილია თვით ველურების ქვეყანაში, მართალია, რომელისამე დარგის გადმონერგვა ევროპიდგან ჩვენში ევროპიელებს არ გაუჭირდებათ, მაგრამ ნამდვილად-კი ისინი ჩვენში მხოლოდ იმ დარგს გადმოჰნერგავენ, რომლის განვითარებაც ევროპაში ბუნებრივის სიძვირის გამო შეუძლებელია და, რადგან ამ გვარი დარგი მრეწველობისა ახლა ძლიერ ცოტაა, ამიტომ დიდს არაფერს უნდა მოველოდეთ. ზემოდაცა ვთქვი, რომ რამდენიმე დარგი მრეწველობისა სამრეწველო კაპიტალს ვერ გაამეფებს.

ამ გვარად ევროპის კაპიტალიზმი ერთის მხრივ თვისის გავლენით ხელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას პატრიარქალურ ქვეყნებში, მაგრამ მეორე მხრივ გაზრდას უშლის, ამ უკანასკნელს ჰხუთავს, ჰჩრდილავს, როგორც დიდი მცენარე მის ჩრდილ ქვეშ მოზარდ პატარა მცენარეს კიდევაცა ჰზრდის და არცა ჰზრდის. ევროპის კაპიტალიზმის გავლენა ორპირია, ხელის შემწყობი და ხელის-შემშლელი. და ყველა ეკონომისტი, რომელიც ან მარტო ერთ პირს უყურებს, ან მარტო მეორეს, სცდება. რუსეთელი და ჩვენი მარქსისტები აქცევენ ყურადღებას მხოლოდ ამ გავლენის ერთ მხარეს, სახელდობრ, ხელის-შემწყობს. აი, ეს არის, ჩემის აზრით, მათი შეცდომა.

ჩვენს მარქსისტებს აქვთ ამას გარდა ჩვეულება უფრო მომავალის შესახებ იწინასწარმეტყველონ, ვიდრე ეხლანდელი იძიონ. იგინი მუდამ გაიძახიან, კაპიტალიზმი განვითარდებაო. მაგრამ, ჩემის ფიქრით, უმჯობესია ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც არის, ვიდრე ვიოცნებოთ იმის შესახებ, რაც იქმნება.

დასასრულ მკითხველმა იქნება იკითხოს, რა პროგრამმა გამოდის აქედგანაო? ვუპასუხებ, რომ, ვიდრე გადაჭრილს ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა ჩვენის ეკონომიურის ცხოვრების უკეთ შესწავლა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ჩვენს თავს შევისწავლით, ჩვენს თავს ვიცნობთ, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი უტყუარის პროგრამმის შედგენა.

ვ. წ.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იგი ჰგრძნობს ცხენების ქანც-გაწყვეტილობისაგან....

აქეთკენ ამ თვის შუადამდის დიდი წვიმები და ამის გამო წყალ-დიდობა იყო, რომელმაც მოსავალს, მომატებულად დომს, დიდი ზარალი მისცა, მაგრამ შემდეგ დაჰბერა აღმოსავლეთის ქარმა, გამოიდარა და სულ ერთიანად გააშრო აქაურობა. სიმინდის მტკრევა დაიწყეს. ამბობენ, სიმინდს კარგი ხვავი აქვსო.

კოწოლა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Рус. Вѣд."-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი შემდეგი სათაურით: „ლიტერატურა 1898 წელს". ამ წერილში დრო-გამოშვებით მწერლობის, ე. ი. ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობაა აწერილი და ის, თუ ასეთი მწერლობა სხვა-და-სხვა სახელმწიფოში რამდენად არის განვითარებული. წერილის ავტორის სიტყვით, ამ შემთხვევაში პირველი ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს,

„სადაც 38 ათასი ჟურნალი და გაზეთი იბეჭდება. თვით ევროპაში ჟურნალ-გაზეთების სიმრავლით ყველას ბელგია სჯობნის. ამ პატარა ქვეყანაში 4700 ჟურნალი და გაზეთი გამოდის. ბელგიაში ერთი, გაზეთი 1000 მცხოვრებელზედ მოდის მაშინ, როდესაც ავსტრიაში, მაგალითად, ერთი გაზეთი 72 ათასს მცხოვრებელზედ მოდის. ბელგიაში ისეთი ჟურნალი და გაზეთებიც-კი იბეჭდება, როგორიც სხვაგან არსად მოიპოვება. აქ, მაგალითად, 25 ჟურნალი და გაზეთი გამოდის, რომელთაც აზრად მხოლოდ მტრედების ცხოვრების შესწავლა და მათზედ ნადირობა აქვთ, რვა გაზეთი მხოლოდ მაიმუნების ცხოვრების შესწავლას უნდება.

რაც შეეხება წიგნების გამოცემას, ამ შემთხვევაში ყველას იაპონია სჯობნის.

„იაპონიაში ყოველ წლივ 25 ათასი წიგნი იბეჭდება, მაშინ როდესაც საფრანგეთსა და ინგლისში ამის ნახევარიც არ გამოდის. ამ რიცხვიდგან 1,300 წიგნი სადვთის-მეტყველო შინაარსისაა, 5,000 წიგნს იურიდიული ხასიათი აქვს, 2000 წიგნი პოემებს, ლექსებს, რომანებს, მოთხრობებს შეიცავს; ჟურნალ-გაზეთი 800 გამოდის. იაპონიის შემდეგ პირველი ადგილი გერმანიას უჭირავს, ხოლო თუ მცხოვრებელთა რაოდენობისა და-კვალად ვიანგარიშებთ, მაშინ საფრანგეთი გერმანიაზედ წინა სდგას. საფრანგეთში ერთი წიგნი 1,600 კაცზედ მოდის, გერმანიაში-კი—2,000 კაცზედ. საფრანგეთსა და გერმანიას მისდევენ ინგლისი, ჰოლანდია, დანია და ნორვეგია, შემდეგ პოლშა და შვეცია, მეხუთე ადგილი იტალიას უჭირავს, ხოლო მეექვსე რუსეთს.

რაღა ლაპარაკი უნდა, ამ უთვალავს ჟურნალებსა, გაზეთებსა და წიგნებს აუარებელი ქაღალდი დასჭირდებათ. 1850 წელს ამ საქმეს 224 მილიონი კილოგრამმა (კილოგრამმა 2,44 გირვანქაა) ქაღალდი მოუნდა, ეხლა-კი 10 ჯერ ამაზედ მეტი უნდებაო.

◆◆

რუსეთი

—

პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ხალხში სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გავრცელება აქვს. საზოგადოების გამგეობა პეტერბურგში იქნება, ხოლო რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებსა და სოფელში—განყოფილებანი. საზოგადოება დააარსებს სატეხნიკო სკოლებს, გამოსცემს წიგნებს, გამართავს ლექციებს და სხვა.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებათა წევრებად არ შეუძლიანთ იყვნენ საზღვაო, სამხედრო და სასულიერო უწყებათა სასწავლებლებში მოსწავლენიო. დანარჩენ სასწავლებელთა მოსწავლეებს ნება აქვთ ასეთის საზოგადოების წევრებად ჩაეწერნენ, მაგრამ გამგეობის წევრობა არ შეუძლიანთ და აგრეთვე საზოგადო კრების დროს ხმა არა აქვთო.

— სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ: ხმა დადის, რომ მომავალის წლიდგან ციმბირში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იქნება შემოღებულიო.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა საეკკლესიო-სამრევლო სკოლისათვის სავალდებულო გახდონ იყოლიონ მოსწავლეთაგან შემდგარი ხორო ეკკლესიაში საგალობლად.

— მოსკოვის მანდილოსანთ აზრადა აქვთ დააარსონ მოსკოვში დედათა კლუბი. წესდება ამ კლუბისა უკვე შემუშავებულია და ამბობენ მთავრობა ამ ახლო მომავალში დაამტკიცებს კიდეცაო. რუსეთში დედათა კლუბი მხოლოდ პეტერბურგს არსებობს. მაგრამ ეს კლუბი ძალიან განსხვავდება იმ კლუბისაგან, რომელსაც მოსკოვის მანდილოსანნი აარსებენ. პირველი მამაკაცთა ჩვეულებრივ კლუბსა ჰგავს, მეორე-კი უფრო საქველ-მოქმედო დაწესებულებას წარმოადგენს, საწევრო გარდასახადი 15 მანეთი იქნება. მამაკაცებს ამ კლუბში მხოლოდ მაშინ შეუშვებენ, როდესაც საღამოებს ან წარმოდგენებს გამართავენ. ამ კლუბში წევრად ჩაწერის მსურველთა რიცხვი აუარებელია თურმე.

— პეტერბურგის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას პეტერბურგში მეთევზეობის კურსები სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის.

— კასპიის ზღვაზედ ნაოსნობის საქმის გასაძლიერებლად, მთავრობას აზრადა აქვს კასპიის ზღვის ნაპირას მდებარე ერთს ერთს ქალაქში დააარსოს სასწავლებელი, სადაც მოამზადებენ მექანიკოსებს და მაშინისტებს გემებისათვის.

◆◆

უცხოეთი

—

საფრანგეთი. ზოგიერთი გაზეთი გადაჭრით აცხადებს, რომ არავითარი შეთქმულობა არა ყოფილა საფრანგეთის წესწყობილების წინააღმდეგ, ეს ამბავი განგებ შეთხზა ბრისონმა, ანუ ვინმემ შეაცდინა იგიო, და თან კიდეც დასცინიან ბრისონს ეს გაზეთები ასეთის ტყუილ ამბის გავრცელებისათვის. ხოლო ზოგიერთები კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ, ამათის სიტყვით, უეჭველ ეჭვს გარეშე, რომ შეთქმულობა იყო და ამ შეთქმულობაში პირველი ადგილი ეჭირათ ბუადრფეს, პელიეს, ცურლინდენს, მთავარ შტაბის უფროსს რენუარს და იეზუიტების უფროსს დიუ-ლიაკს. ვითომ მოლაპარაკებაც ჰქონდეთ შეთქმულებს ტახტის მაძიებლებთან ამ საქმის შესახებ და სხ. მაგრამ მთავრობას დროზედ გაეგოს ყოველივე ეს და ამიტომ შეთქმულებს ვეღარ განეხორციელებინოთ თავიანთი აზრი.

ასე იყო, თუ ისე, საქმე ჩვენ არ გვიცით, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ სხვა და სხვა ადგილიდგან პარიჟში დაბარებულია ჟანდარმთა ჯარი, რომელიც მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს და პოლიციის პრეფექტს ემორჩილება. საფრანგეთში ჟანდარმს უფლება აქვს შტაბის უფროსი და თვით სამხედრო მინისტრიც-კი დააპატიმროს; რაც შეეხება დანარჩენს ჯარის კაცთ, ისინი მხოლოდ სამხედრო მინისტრის ბრძანებას ექვემდებარებიან.

— პარიჟში დიდი ყურადღება მიაქციეს სენატორის კალდეკ-რუსოს მინისტრ-პრეზიდენტთან მისვლას. ვალდეკ რუსო ზომიერ რესპუბლიკელთა დასს ეკუთვნის და, მაშასადამე, ეხლანდელს რადიკალთა სამინისტროს წინააღმდეგია. მაგრამ ის მაინც შეჰპირებია მინისტრს, რომ ქვეყანა რადგან დიდს განსაცდელშია, ზომიერ რესპუბლიკის დასი მხარს დაუჭერს მთავრობას, თუ ეს უკანასკნელი მხნედ იმოქმედებსო.

— ფაშოდის შესახებ საფრანგეთის გაზეთები ეხლა უფრო თამამად და ხმამაღლა ჰლაპარაკობენ. „Temps"-ი ამბობს, რომ ინგლისელებმა რაც უნდა სთქვან, საქმის ნამდვილს მდგომარეობას მაინც ვერ დაამახინჯებენო. რა საბუთებიც უნდა წარმოადგინონ, იმის უარის ყოფა არ შეიძლება, რომ ნილოსის ხეობაზედ საფრანგეთს ისეთივე უფლება აქვს, როგორიც ინგლისსო. საფრანგეთის ოფიცერი მარშანი ფაშოდაშია და ამიტომ მარტო ეს ადგილი კი არა, მთელი ბარ-ელ-გაზალის ხეობა და უნიორროც ჩვენ გვეკუთვნისო.

—

გერმანია. გაზეთების სიტყვით, კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს გერმანიის იმპერატორს ხონთქარი კონიის ვილაიეტს შეაძლევს. კონია საუკეთესო ადგილი ყოფილა მცირე აზიიდგან გასატან საქონელთა საწყობად. ამბობენ, რომ გერმანია იღოტავებს ამ საჩუქარს, რადგან ოსმალეთს იგი ამიტომ აძლევდა შემწეობას, რომ მცირე აზიაში სხვა-და-სხვა ადგილი ჩაიგდოს ხელში და ამ რიგად გააძლიეროს თავისი გავლენა აზიაშიო.

—

იტალია. რომის პაპი მონაწილეობის მიღებას არ აპირებს თურმე იმ კონფერენციაში, რომელმაც ანარქისტთა წინააღმდეგ ღონისძიებანი უნდა გამოსძებნოს. მისის აზრით, ასეთი კონფერენცია ცალკე არ უნდა მოხდეს, არამედ სამშვიდობო კონფერენციამ უნდა განიხილოს ეს საგანი ჯარის შემცირების საქმესთან ერთად. გარდა ამისა, პაპი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მე საერო უფლება ჩამომართვეს, არ შემშვენის საძალ-დამტანებლო კანონ-პროექტის შემუშავების საქმეში გავერიოო.

—

ესპანია. როგორც გაზ. „Temps"-ი იუწყება, ჩრდილოეთ ესპანიაში ისევ უჩნდებათ თავი დონ-კარლოსის მომხრეებს. განსაკუთრებით ეჭვი შეაქვთ თურმე გენერალ კავეროსა და სენატორ ოლაზაბალის მოქმედებაში. ამბობენ, რომ კარლისტებმა თოფ-იარაღიც შეზიდეს არაგონიასა და კატალონიაშიო. კარლისტების გაზეთები თავ-დაჭერილები არიან, მაგრამ ხანდახან მკითხველებს აგრძნობინებენ ხოლმე, რომ ახლოს მომავალში დონ-კარლოსი თავისს თავს მეფედ გამოაცხადებსო.

◆◆

დამაკვირდი

მცირედ მცირედი წარმატებაა უმჯობეს არს დიდად მხლდომარებასა.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

თავისი თავის სიყვარული, ამაოთმოყვარეობა, გონების სიბლუნგე, უარარაობა—აი, ნამდვილი თვისება ქალებისა, თუ იმ სახით გეჩვენნენ, როგორნიც არიან. ხალხში-კი რომ შეჰხვდეთ, გეგონებათ, რაღაცანა არიანო, მაგრამ არაფერია, არაფერია, არაფერი!

ლ. ტოლსტოი

* * *

ცხოვრების სიმწარე კიდევ იმდენად საგრძნობი არ იქნებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ჭეშმარიტის მეგობრის შოვნა.

ბ. დ—შვილი

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის პროფესორებმა გრინფელდმა და სიუეტმა ალექსანდრიის მახლობლად იპოვნეს იმპერატორის ადრიანეს ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი. წიგნები თურმე მშვენივრად შენახულა ქვიშაში.

* * *

გერმანიისა და საფრანგეთის დედაკაცთა შორის დაარსდა კავშირი, რომელზედაც ხელი მოაწერეს ჰამბურგში 6 ოქტომბერს. გერმანიაში 90 საზოგადოება ითვლება დედაკაცთა და 60,000 წევრი. ამ საზოგადოებას საგნად აქვს დაეხმაროს ქვეყანაზე მშვიდობიანობის დამყარებას. გერმანიის დედაკაცთა საზოგადოების წევრებმა გადასწყვიტეს რითიმე პატივი ეცათ რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცხადებულ მანიფესტისათვის შეიარაღების წინააღმდეგ. ამ აზრით გერმანიის ფედერაციამ მიჰმართა საფრანგეთის ფედერაციების დედაკაცებს და სთხოვა ორთავე ფედერაცია შევაერთოთო.

* * *

ამერიკის დიდის ოპერის თეატრში შესანიშნავი ქორწინება მოხდა. 124 წლის მოხუცმა გირამ ლესტერმა და 81 წლის გასათხოვარმა ქალმა მარიამ მორსლეიმა ჯვარი დაიწერეს. ერთმა ამერიკელმა იკისრა ყოველივე ხარჯი და ამ ქორწინების ნახვის მსურველთ თეატრში შესვლის ფასს ართმევდა. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ თეატრის დირბაზი ხალხით სავსე იყო.

* * *

ნიუ-იორკიდგან იწერებიან, რომ მისსურიის რკინის გზაზედ ავაზაკები თავს დასცემიან საგანგებო მატარებელს. საღამო ხანზე ოთხი შეიარაღებული კაცი მისულა ერთს პატარა სადგურზე, შეუბაწრავთ ტელეგრაფის მოხელე და დაუმტვრევიათ ტელეგრაფის მანქანა. მატარებელი რომ მოვიდა, ზედ შეახტნენ, მოხსნეს ორთქლ-მავალი და ფოსტის ვაგონი, რამდენსამე ვერსის მანძილზე წავიდნენ, ფოსტის ვაგონი დააცალიერეს, მივიდნენ კონზას-სიტიმდე და აქ ბუჩქებში ჩაიმალნენ. ავაზაკებმა წაიღეს 50,000 დოლლარი.

* * *

რუსულ გაზეთ „ურალ"-ში შემდეგი დაუჯერებელი ამბავია დაბეჭდილი. ტიუმენის მაზრაში ხმა დადის რაღაც გველის შესახებ. ჩერევიშის ოლქის მცხოვრებნი ჯერ ისევ გაზაფხულზე ლაპარაკობდნენ, რომ რამდენჯერმე ვნახეთ 5 არშინის სიგრძე და 3-4 ვერშოკის სისქე გველი, რომელიც კაცს დაინახავდა თუ არა, იმ წამსვე ეცემოდა. ჯერ ამ ლაპარაკს არავინ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ მალე ზოგს ბატკანი დაურჩო ამ გველმა და ზოგს ცხენი. შემოდგომაზე ეს გველი ნახა ოლქის უფროსმა, რომელიც ეტლით მიდიოდა სოფ. ჩერევიშიდგან. გველი პირდაპირ მეეტლეს ეცა... შეშინებულმა მეეტლემ ცხენები გამოაქენა, შინ რომ მივიდა, ლაპარაკი აღარ შეეძლო და ლოგინად ჩავარდა.

* * *

ძლიერ ცხელ ქვეყნებში ლუდის შოვნა და შენახვა ძლიერ ძნელია და ამიტომ გამოიგონეს ეგრედ წოდებული ხმელი ლუდი. ეს ლუდი ფხვნილად იყიდება და წარმოადგენს ქერსა, შაქარსა და სხვა. საკმარისია ეს ფხვნილი გახსნათ წყალში, მიუმატოთ ცოტა სპირტი და ლუდი მზად არის. ასეთი ლუდი ბევრი იყიდება ეგვიპტეში და აფრიკაში, ე. ი. ცხელ ქვეყნებში, სადაც ლუდის შენახვა ძლიერ ძნელია.

◆◆

გამოსადეგი ცნობა

შეიძლება ყოველს ტილოს, ჩითს, აბრეშუმის ფარჩას, შალს, მაუდს და ყოველს გვარ ქსოვილს ის თვისება მისცეთ, რომ წყალს გაუმაგრდეს და წყალი არ გაუჟონდეს, არც შეუვიდეს. ამისათვის თურმე აი რა წამალია: აიღეთ ორი ცალკე ჭურჭელი, ჩაასხით თვითოში 30 გირვანქა წყალი. ერთს ჭურჭელში გახსენით ერთი გირვანქა ტყვიის შაქარი (свинцовый сахаръ, აფთიაქშია) და მეორეში ერთი გირვანქა შაბი. მერე ორივე ჭურჭლის წყალი ერთს სხვა ჭურჭელში მოაქციეთ. ნახევარი საათი დასტოვეთ, რომ დაწმდეს. შემდეგ ფრთხილად გადასწურეთ რაშიმე და შიგ დაალბეთ ის, რასაც წყლისაგან ამაგრებთ, დასალბობად საჭიროა მთელი ერთი დღე და ღამე; ერთის დღე-და ღამის შემდეგ ამოიღეთ, არამც და არამც არ გასწუროთ, მხოლოდ ჩამოჰკიდეთ გასაშრობად ფაქაზს სარზე. უფრო უკეთესი იქნება, რომ ერთხელ დალბობილი და გამშრალი, მეორედაც დაალბოთ, როგორც ზემოდ სწერია, და გააშროთ.

◆◆

ქველმოქმედთა მიმართ

უწინაც მითქვამს და ეხლაც ვიმეორებ, რომ მთასავით მოძულებული და დავიწყებული მხარე არა აქვს ჩვენს ქვეყანას. რამდენად არის მოძულებული მთა, რამდენად მიტოვებული და ღვთის ანაბარას მიგდებული,—ვინ მოსთვლის. „დავიწყებულები" ვართო—რომ ვამბობ, მე აქ ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი მაქვს სახეში და სწავლა-ცოდნის გავრცელების და ხელის შეწყობის საქმეს ვგულისხმობ. ახლა რამდენი სკოლაა აქა? რამდენი—და, ო...რი. ერთია თუშეთში (ვგონებ სამინისტრო) და ერთიც ხევსურეთის სოფ. ბარისახოში კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მიერ დაარსებული... ეს არის და ესა. სხვა სასწავლებელი ამ ადგილებში არ მოიპოვება, არც მკვიდრთა, არც სხვა რომელისამე საზოგადოებისა და არც სამინისტროსი... ფშავში ხომ სასწავლებელი სულ არ არის...ძალიან სამწუხაროა ეს საგანი. სამწუხარო იმიტომ არის, რომ ჩვენ, მთიელები, ბევრად არავის ვახსოვართ, ჩვენს სასარგებლოდ ხმას არავინ იღებს. ფშავ-თუშ-ხევსურთა განათლებას ხელის შეწყობა ეჭირვება მომეტებულად თუ არა, საქართველოს სხვა კუთხეების თანასწორად მაინც. სად არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"? რატომ თითო სასწავლებელს არ გამართავს აქეთკენ? ბართან შედარებით ქრისტიანობას ბევრი და ბევრი აკლია ამ ადგილებში. რატომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ფშავში და თუშეთშიაც არ გამართავს სასწავლებლებს? ჩვენც გვიჭირს, ჩვენც საქართველოს აკვანში დავზრდილვართ ჩვენის სამშობლოს და სარწმუნოების სამსახურისა და ერთგულობისა-

თვის. შეგვეწივნენ, გვასწავლონ და სამსახურიც მოგვკითხონ; ღმერთმა იცის, უკან არავის ჩამოვრჩებით.

ხევსურეთის სოფ. ბარისახოს სკოლის მასწავლებელი მე გახლავართ. ჩემთან, როგორც ამ სკოლის მასწავლებელთან, დიდი და პატარა მოდის; ზოგი ანბანის წიგნსა მთხოვს, ზოგი საკითხავს და სხვას. მეც ვაძლევ, რაცა მაქვს, არ ვზოგავ, რასაც ხელი მიმიწვდება; მაგრამ რამდენი მპირდება და არა მაქვს, რამდენს ითხოვენ და მეკი „არ მაქვსო“-ბით ვისტუმრებ! ნეტამცა ვიყო, რომ ყველას გადავწვდე. რა ვქნა მე ჩემი ერთი კიკნა ჯამაგირით? რომელს ერთს მივაწვდინო ხელი?

რადგანაც საკითხავი წიგნების მთხოვნელი ჩემგან ბევრი ხელ-ცალიერი მიდის, ამიტომ ჩემდა რწმუნებულ სკოლასთან წიგნთ-საცავის დაარსება განვიზრახე და იმედიცა მაქვს შეგნებული ნაწილი ჩვენის ერისა დამეხმარება ამ აზრის განხორციელებაში.

ვთხოვ ჩვენს ფრიად პატივცემულ მწერლებს და წიგნების გამომცემელთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ და სხ. გამოგვიგზავნონ უფასოდ, ვისაც რამდენი ემეტებოდეს, თავის მიერ შედგენილი, ან გამოცემული წიგნები.

ვთხოვ აგრეთვე „მოამბე“-ს, „ივერიი“ს, „კვალის“, „მწყემსის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს ნუ დაიშურებენ ჩვენთვის თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს.

ჩვენი ადრესი: Тіонеты. Учителю Барисахской школы Николаю Разикашвили.

ბარისახოს სკოლის მასწავლებელი ნ. რაზიკაშვილი

◆◆

ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ გამოცემული წიგნაკები:

1, „ვეფხვის ტყაოსანი„ ნაამბობი მოზრდილ-ყმაწვილთათვის გ. იოსელიანის მიერ; სურათებიანი. შეიცავს 87 გვერდს და ღირს 25 კაპ.

2, „ამოდის ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. შეიცავს 79 გვერდს და ღირს 15 კაპ.

3, კრილოვის არაკები, ნათარგმნი აკაკის მიერ. მესამე გამოცემა, ღირს 30 კაპ.

სამივე წიგნი სუფთად არის გამოცემული.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ 100 მანათიანი ქაღალდის ფული, ძველის სახისა უნდა შეიცვალოს და ახალი მოიჭრას. ძველის ას-მანეთიანებისათვის ვადაა დადებული 1900 წლის 31 დეკემბრამდე იმ პირობით, რომ ამ დღიდგან ძველს ას მანათიანს აღარ მიიღებენ არც სახელმწიფო დაწესებულებაში და არც სავალდებულო იქმნება იმისი ხმარება. ძველის ას-მანათიანების შეცვლა ახალზე და ახლის გამოცემა დაიწყება სახელმწიფო ბანკის კანტორებში 1898 წლის 1 დეკემბრიდგან. ბანკის განყოფილებებში და ხაზინებში-კი—მიღებისთანავე.

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, რომ რადგანაც 26 მაისს 1899 წელს 100 წელიწადი შესრულდება პოეტის პუშკინის დაბადების დღიდგან, გამართულ იქმნას ყველგან ხელის მოწერა და ამ გვარად შეკრებილის ფულით შესყიდულ იქმნას პუშკინის მემკვიდრეებისაგან მიხაილოვსკის აგარაკი და სახლი ქ. პსკოვში და ორთავე ადგილას დაარსებულ იქმნენ საყოველთაო სასარგებლო დაწესებულებანი პოეტის სახელობაზედ.

ტაშკენტი. იუწყებიან, რომ ანზოვში, ისკანდერკულიდგან ორმოცის ვერსის მანძილზე რაღაც ავადმყოფობა გაჩენილა, რომელმაც ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ამბობენ, რომ შავი ჭირი უნდა იყოსო. ანზოვი გაუვალ, მთა-გორიან ადგილას მდებარეობს. გზები შეკრულია. გაგზავნილ იქმნენ მკურნალები და ერთი ბაქტერიოლოგი.

კონსტანტინეპოლი. სალამოთი ილდიზ-კიოსკში გაიმართა სადილი დიპლომატთა პატივსაცემლად.

პარიჟი. გაზეთი „Soleil“ სწერს: შეიძლება ის ამბავი ტყუილი გამოდგეს, ვითომ დრეიფუსი მონტე ველერიანის ციხეში გადმოიყვანესო, მაგრამ ამ ციხეში რაღაც საიდუმლო ამბავი-კი ჰხდებაო: ექვსი ოთახი ვიღაცებისათვის არის დამზადებული, ერთში ვიღაცა არის დაპატიმრებული, რომელიც უეჭველად ჯარისკაცი უნდა იყოსო.

პორტსმუტი. ზღვათა გამგეობამ გამოსცა ბძანება: ამ ნავთ-სადგურში მყოფი გემები ყველანი მზად უნდა იყიყვნენ მოგზაურობისათვის. გაუქმებულ იქმნა ის ბრძანება, რომლითაც გადაკეთებული უნდა ყოფილიყო ოთხი გემი და გაკეთებული ახალი ქვაბები. ამ გემებს ებრძანა კვლავ დაიტვირთონ იმ ტვირთით, რომელიც ნაპირას გადმოეწყოთ.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა იმპერატორის ორთავე შვილს ფლიგელ ადიუტანტობა უბოძა. იმპერატორი და იმპერატრიცა სალამოთი მიდიან.

ვენა. გრაფი მურავიოვი აქ მოვიდა.

კონსტანტინეპოლი. სელა-მელიქი მოხდა იმპერატორისა, იმპერატრიცასი და დიდ ძალის ხალხის თანადასწრებით.

ვენა. სტუდენტები აღარ დადიან ანატომიის ინსტიტუტის იმ ლაბორატორიაში, სადაც შავის ჭირის წინააღმდეგ წამალს აკეთებდნენ, ორი მკურნალი მოიწამლა და გარდაიცვალა. გარდაცვალებულთა ნათესავეები და ინსტიტუტის მსახურნი გასინჯეს და მოაშორეს ინსტიტუტს.

ალექსანდრია. ბარატიე წავიდა აქედგან და პარიჟში მივა ხუთშაბათს. კიჩინერი ლონდონში წავიდა იმავე გემით.

12 ოქტომბერი

ვენა. ავად გახდა მეორე მომვლელი ქალი, რომელიც ლაბორატორიის გარდაცვალებულს მსახურს უვლიდა ავადმყოფობის დროს.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა მიაცილა იმპერატორი და იმპერატრიცა კაიკამდე. სულთანი და იმპერატორი მეგობრულად გამოეთხოვნენ ერთმანერთს და მრავალჯერ ხელი ჩამოართვეს ერთმანერთსა. იმპერატორმა უფეშქაშა სულთანს ოქროს ჯოხი და ფრიდრიჰ დიდის ჯოხის მგზავრად გაკეთებული ჯოხი და შესწირა ფული, შადრევანისათვის, რომელიც იმისავე გეგმით იქმნება გაკეთებული.

ვენა. მკურნალი მილლერი, რომელიც შავის ჭირით ავად გახდა, გარდაიცვალა.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომბერი,

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	219¼
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	96⅞	— „	— „
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	— „	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¾	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	99¾	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	295½
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი	— „	— „	259¼

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ახალციხის სახალხო სამკითხველოს.

სია შემომწირველთა: შ... უ... 4 მ., კ. მეფისაშვილმა 1 მ., გ. ბურჭულაძემ 50 კ., კ. ი. აფხაზმა 1 მ., ი. ორბელიანმა 1 მ., ა. მაისურაძემ 1 მ., ვ. ყანჩაველისამ 1 მ., მ. ქაჩხოაშვილისამ 1 მ., ე. ქაჩხოაშვილისამ 1 მ., ი. გოზალაშვილმა 1 მ., ვ. ბეზირგნიშვილმა 1 მ., კ. მჭედლიშვილისამ 1 მ., პ. ყერქესლიშვილმა 1 მ., თ. ხერხეულიძემ 1 მ., მ. ბეთანიშვილისამ 1 მ., ს. მაჩაბელმა 1 მ., ი. დემურაშვილმა 1მ., ი. მღებრიშვილმა 1 მ., ე. ქაჩხოაშვილისამ 1 მ., მ. მღებრიშვილმა 1 მ., ს. ჭუჭულაშვილმა 50 კ., კ. ფირალაშვილმა 50 კ., მთ. დ. კარბელაშვილმა 50 კ., გ. მამცემლიძემ 50 კ., ს. თიროევმა 50 კ., ს. ხოჯოვანაშვილმა 50 კ., ხახუტაშვილისამ 50 კ., მ... გ... 50 კ., ი. ნადირაძემ 50 კ., გ. გასპარიშვილმა 50 კ., მ. მეფისაშვილისამ 50 კ., მ. ვარლამაშვილმა 50 კ., ი. ბაიბურთელმა 50 კ., კ. ხოჯოვანაშვილისამ 50 კ., ი. ასათიანმა 40 კ., ხითარაშვილმა 40 კ., პ. სეხნიაშვილმა 40 კ., მ. დურგლიშვილმა 40 კ., ე. ვარლამაშვილისამ 40 კ., ა. გიორგობიანმა 40 კ., კ. ფირალაშვილისამ 40 კ., კ. ზედგინიძისამ 40 კ., ე. ჭეიშვილმა 30 კ., ბ. ბეთანაშვილმა 30 კ., გ. მღებრიშვილმა 25 კ., ი. ლაზიევმა 25 კ., ქ. გვარამაძემ 20 კ., ფ. ბურჭულაძემ 20 კ., პ. გოგინაშვილმა 20 კ., ს. ფაფაზაშვილმა 20 კ., გ. ფაფერიშვილმა 20 კ., ე. ათაბეგიშვილმა 20 კ., კ. ზედგინიძემ 20 კ., ი. ბეთანიშვილმა 20 კ., ი. ჩილინგრიშვილმა 20 კ., პ. ერეკლიშვილმა 20 კ., ვ. დიდიმამიშვილმა 20 კ., ზ. დიდიმამიშვილმა 20 კ., გ. შანშიევმა 20 კ., გ. ვარბელიშვილმა 20 კ., გ. მახვილაძემ 20 კ., ი. მამულიშვილმა 10 კ. სულ 36 მანეთი 90 კაპ.

აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია პავლე ფალაშაშვილი, რომელმაც ქუთაისში შეაგროვა 17 მანეთი.

სია შემომწირველთა: მ. ფეიქრიშვილისამ 1 მ., ე. საკაშვილმა 1 მ., ო. გვარამაძემ 1 მ., მ. ხმალაძემ 1 მ., ნ. ფილიპოვმა 1 მ., იეხსაწოვმა 1 მ. 50 კ., პ. გოკიელიშვილმა 1 მ., გ. ბეგოვმა 1 მ., პ. ჩიფალაშვილმა 1 მ., ი. ჩინიჯოვმა 1 მ., ი. ჯაშიკოვმა 1 მ., ნ. ახალციხელმა 50 კ, ი. ვარლამაშვილმა 50 კ., პ. გორელმა 50 კ., ვ. მეგრელმა 50 კ., ი. მირიჯანაშვილმა 50 კ., ი. ჰერიქაშვილმა 50 კ., ჩ... 50 კ., იეხსაწოვმა 50 კ., ი. გძელოვმა 35 კ., ა. ხმალაძემ 30 კ., გ. ხმალაძემ 40 კ., ფ. ხითარაშვილმა 25 კ. და კ. კობახიძემ 20 კ.

სამკითხველოს გამგე კ. მეფისაშვილი

◆◆

განცხადებანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა

იწვევს მსურველთ, ვისაც უნდა იკისროს რკინის გზისათვის ლიანდაგის ქვეშ დასაგებ მორგვეპისა და სხვა საჭირო ხე-ტყის მომზადების იჯარით აღება, რაც-კი 1899 წელს დასჭირდება, შემოიტანონ თავისი განცხადება. განცხადებათა განხილვა დანიშნული ია 24 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობები მსურველს შეუძლიან მოსთხოვოს მასალათა გამგე ნაწილის უფროსს. (3—ნ.—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ამოდის, ნათდება!** და ხვა. მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **კრილოვის არაკები**, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ. (10—უ.—10)

კელერის მიერ დამზადებული

სურნელოვანი საჭმლის მდოგვი

დაფხვნილი და დამზადებული, რათა სწრაფად იქმნას მდოგვად შეზავებული, თავისის სიიაფით, გემოვნებით და სურნელოვანებით უკეთესია სხვა ყველა მდოგვზედ.

იყიდება **ყველგან** და **ყველა** დიდ ვაჭართან. Душистая горчица.

(3—მ.—3)

ПЕРВЫЙ НОМЕРЪ ГАЗЕТЫ

„РУССКІЙ ТУРКЕСТАНЪ“

выйдетъ **двадцать пятаго сентября** и впредь газета будетъ выходить три раза въ недѣлю

по Воскресеньямъ, Средамъ и Пятницамъ

программа газеты:

1) Передовыя статьи, 2) Научный отдѣлъ, 3) Среднеазіатская общественная жизнь, 4) Итоги сельскаго хозяйства, 5) Жизнь въ степи, 6) У нашихъ сосѣдей, 7) Желѣзно-дорожное дѣло, 8) Среди газетъ и журналовъ, 9) Азіатское эхо, 10) Хроника русской жизни 11) Мѣстная хроника, 12) Зрѣлища, 13) Изъ зала суда, 14) Фельетонъ, 15) Библіографія, 16) Смѣсь, 17) Справочный отдѣлъ, 18) Телеграммы Россійскаго Телеграфнаго агентства и 19) Объявленія.

Плата за объявленія на первой страницѣ по 20 к. и на послѣдней по 10 коп. за строчку петита за каждый разъ.

Подписка на текущій годъ принимается **на срокъ съ 1-го Октября,** при чемъ лица, подписавшіяся съ этого времени, получатъ всѣ номера газеты, которые выйдутъ до перваго октября.

Подписная цѣна: на 1 годъ 7 руб.; на 6 мѣсяцевъ 4 р., на 3 мѣсяца 2 руб. и на 1 мѣсяцъ 70 коп., съ пересылкой и доставкой на домъ; за гроницу на 1 годъ 9 руб. Отдѣльный номеръ 6 к.

ПОДПИСКА И РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА ГАЗЕТЫ ПРОИЗВОДЯТСЯ:

въ **Ташкентѣ** въ конторѣ редакціи и книжномъ магазинѣ „Букинистъ“;

въ Самаркандѣ въ книжномъ магазинѣ „Букинистъ“

въ Вѣрномъ въ книжномъ магазинѣ Шаврова.

Пріемъ объявленій производится исключительно въ конторѣ редакціи, Соборная ул., домъ Умидова.

Для личныхъ объясненій редакція открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 6 до 9 часовъ вечера.

Редакторъ *И. Гейеръ*. Издатель *А. Сморгунеръ*.

(3—უ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 го Октября 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე